მუსიკალური ექსპერიმენტი და ენობრივი ცვლილებები თანამედროვე ქართულ პოპულარულ მუსიკაში ფოლკ-ჯაზის და რეპის მაგალითზე

ნინო ციციშვილი (მელბურნი, ავსტრალია)

მოხსენება შეეხება თანამედროვე ქართული მუსიკის ორ ჟანრს – რეპს და ფოლკ-ჯაზს, რომლებიც ანვითარებენ ორი სხვადასხვა ტიპის იდეოლოგიურ-ესთეტიკურ პოზიციას კულტურაში. თუ ფოლკ-ჯაზის ესთეტიკა ძირითადად ეყრდნობა მუსიკალურ-ტექნიკური მხარის გამდიდრების საშუალებათა ძიებას ფოლკლორის, ჯაზის და "world music" სტილების შერწყმის საფუძველზე, რეპ-სიმღერების ესთეტიკას შემოაქვს ქართულ ტექსტებში ყოველდღიური "ქუჩის" საუბრის და ჟარგონის ელემენტები. ეს ხდება შედარებით "მარტივი" მუსიკალური ენის და რიტმული ლაპარაკის ფონზე.

მოხსენებაში განხილული იქნება აფრიკულ-ამერიკული რეპის ლოკალური ქართული ადაპტაცია, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მუსიკის საშუალებით "სოციალური მესიჯის" და სოციალურ-პოლიტიკური კომენტარის გადმოცემას. მაგალითად ფოლკ-ჯაზი ეყრდნობა ავტონომიურ-აბსტრაქტული მუსიკის იდეას და ცხოვრების ზოგადსაკაცობრიო ფილოსოფიის თემებს. ის ნაკლებადაა დაინტერესებული ყოველდღიური სინამდვილის თემატიკით. მისგან განსხვავებით რეპის ტექსტები ხშირად ეყრდნობა ისეთ თემებს როგორიცაა სოციალური უთანასწორობა თანამედროვე საზოგადოებაში, ნარკოტიკების პრობლემა, ეროტიკულ-სექსუალური თემატიკა და ტრადიციული ღირებულებების მიერ შექმნილი ბარიერის გადალახვისკენ მოწოდება, ეკონომიური გაჭირვება და კლასობრივი განსხვავების თემატიკა (ელიტარული და ქუჩის "დაბალი" ფენების მენტალიტეტების ფარული დაპირისპირება). მსგავსი თემატიკა ამერიკელი ზანგი რეპერების სოციუმის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ იმყოფება, მაგრამ ამავე დროს ის ადაპტირებულია ქართული თანამედროვე ცხოვრების პრობლემატიკასთან. ამ მხრივ ქართული რეპი უნდა ჩაითვალოს ქართული სოციალური იდენტობის ახალი მხარეების ასახვად და არა ამერიკული რეპის უბრალო მიმიკად. რეპის ახლებური სოციალური თემატიკა რეალიზდება ახლებური ენობრივ-მუსიკალურ-პოეტური იდეოლოგიის საშუალებით. მოხსენებაში ყურადღება იქნება გამახვილებული რეპში ახლებური აქცენტუაციის, გარითმვის და ფრაზეოლოგიის საშუალებებზე, რომლითაც ეს ჟანრი მნიშვნელოვნად განსხვავდება სოციალისტური პერიოდის ქართული პოპულარული (საესტრადო) სიმღერების ტექსტებისა და მუსიკალური ინტონაციის სინტაქსისგან.